17/01/2025

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ქალბატონ მზექალა შანიძეს

ქალბატონ მზექალა შანიძეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უხუცეს თანამშრომელს, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოს მფლობელს, ქალბატონ მზექალა შანიძეს გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს.

იგი არის თაობების აღმზრდელი, აღიარებული ლინგვისტი, სემიტოლოგი, ძველი ქართული ენის უბადლო მცოდნე, დავით აღმაშენებლის მემატიანის მიერ შედგენილი ისტორიის პირველი გამომცემელი და მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაში; დიდია მისი დამსახურება საქართველოს საპატრიარქოს მიერ ძველ ქართულ ენაზე მომზადებული წმინდა წერილის (ბიბლიის) ტექსტის დადგენა-რედაქტირებაშიც...

ღმერთმა დალოცოს ქალბატონი მზექალა და მისი ოჯახი.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

16.01.2025

sazu.ge